

გაზეთის ფასი

გაზეთი ტილისში	გაზეთი ვლადიკავკასიაში
და გარეშე ადგილებში:	
პროცენტის წლია — 7 მან.	— — — — — 6 მან.
შაბათისა და დღის წლია — 4 —	— — — — — 3 —
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — — — 2 —
კალკე ერთის ნუმრისა გაუზგანელოთ — 3 შაურა.	
დროშა	გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

ქრონოს

ხელის-მოწერა მიიღება:

ტილისში „დროშის“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-
ტილის და კავკასიაში, სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბეჭედიანის სახლში
ტილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: В. Тифлисе. Въ
контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყველ-გვარი განცხადება
სხვა და სხვა ენაზე. შანი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-
ბრისის ასობით გაზეთის სტრუქტურაზე 8 კაპ.

საკრძალისა და სალიტერატურო გაზეთი.

შინაარსი:

თბილისი 27 აგვისტოს. „დროშის“ კორ-
რექციონდენცია. — რუსეთის ამბები. — პოლიტი-
კა: ანგლია. — ისპანია. — შანგაი. — იტალია. — ეს-
პანია. — ტელეგრაფი. — სხვა და სხვა ამბები. —
ლექსი. — შოთა-ტელეგრაფი. — სავაჭრო ცნობები.
საბიბლიოგრაფიული ცნობები. — სერობობანი განცხადება.
შედეგები.

თბილისი, 27 აგვისტოს.

ზოგიერთმა ძახეთის მებატონეებმა გაიგეს
რომ, შუამდებლობა (ვაჭრებს) იმასთანაა მომხმარებ-
ლებს შუა, ზიანი თუ არა, არაფერი სარგებ-
ლობა არ მოაქვთ მათს ღვინის ეჭვობაში. —
მის მაგივრად რომ ჩვენი ნაწარმოებით ჩვენვე
ვისარგებლოთ, სარგებლობს სულ სხვა პირი —
რომელიმე ვაჭარი, რომელიც დაივლის ხოლმე
ჩვენში სოფლებს, ყიდულობს იაფად გლე-
ხასაგან მოწვეულს ღვინოს, პურს და სხვ., მი-
აქვს ესენი ქალაქებში და სამი-ოთხი იმ ფა-
სათ ჰყიდის, რაც თითონ უჯდება; მის მაგი-
ვრად რომ თითონ მწარმოებელმა მივიღოს

იმას, ესაც პირდაპირ უჭირს და ამ რიგათ
თითონ მოიგოს, იგებს ვიღაც ვაჭარი, რომ-
მელსაც ნამუშევრის მოყვანაში არაფერი
შრომა არ გაუწევია. ეს არც მომხმარებელი-
სთვის არის სასარგებლო და არც გამყიდვე-
ლი — მწარმოებელისთვის, რადგანაც ვაჭარი
ორივეს ჰყიდევს; მწარმოებელისაგან ყიდუ-
ლობს ძალიან იაფად, იმას ნამდვილ ფასზე
წაკლებს აძლიერს და მომხმარებელს კი ნამ-
დვილ ფასზე მომატებულს ათმევს; და ამ
რიგათ მართა ვაჭარი სარგებლობს. — ამიტომ,
მე მგონია, ძახეთის მებატონეებმა ძალიან კარგი
ქნეს, რომ რამდენიმე კაცმა ერთად მოიყარეს
თავი და სამი, თუ ოთხი ღვინის სარდაფები
გაქნეს თბილისში. როგორც ვაჭარები, ამ ღვი-
ნის სარდაფების საქმე ძალიან კარგად მიდის
და ამის გამო, ამბობენ, ბევრს უნდა ამ საქმე-
ში მონაწილეობის მიღება; ჩვენი აზრით, რაც
უფრო მომატებული წევრები იქნება ამ კამ-
პანიაში, ის სჯობია, ამიტომ რომ უფრო დი-
დი ეჭვობის გამართვა შეიძლება; მე არ ვი-
ცი ვაქვით ძახეთის მებატონეებს, ღვინო

სამზღვრის გარეთ, თუ არა. თუ ჯერ არა,
შემდეგში, როცა ღვინისძიება მოკმატებათ,
იმედია, ამ საქმესაც მიაკეთებენ ჯეროვან ყუ-
რადლებას. ამრიგათ ისინი მოახდენენ იმის-
თანა საქმეს, რომელიც მართა ერთს კაცს
ძალიან გაუჭირდებოდა. მაცე კიდევ ერთი
მაგალითი, რომელიც გემეტყვიტ — რასასა-
რგებლობა ვაჭრობაში და საზოგადოთ ყოველ
საქმეში რამდენიმე პირის შეერთება და ერ-
თათ თანხმობით რომელიმე საქმის ხელის
მოკიდება. რასაკვირველია, ყოველი ამ გვარი
საქმე მართა მაშინ წავა კარგათ და რიგია-
ნათ, როცა წევრებს, ან კამპანის საქმეების
მმართველებს კარგათ ესმისთ ვაჭრობის ანგა-
როში და თუ იმათ შორის განხეთქილება და
უთანხმობა არ მოხდება. — ამ ნაირათვე შე-
საძლებელია კამპანის შედგენა და მალაზიე-
ვის განხრა პურისა და სხვ. ნამუშევრის გა-
სასყიდლათ; მე მგონია ეს ღვინის სარდაფე-
ბზე წაკლებს სარგებლობას არ მოიტანს.
მებატონეებმა თუ შეერთდენ ერთი საქმი-
სთვის და დაიწყეს საქმე, (მე მგონია, გლეხებ-

საც შეუძლიათ ამრიგათვე შეერთდენ და მო-
ჰვიდენ რომელიმე სასარგებლო საქმეს ხე-
ლი. მრთი სამი სოფელი რომ შეერთდეს ერ-
თად ადვილათ განხრის ქალაქში პურის, ღვი-
ნის და სხვ. ნამუშევრის მალაზიას და, რაც
გასასყიდელი დარჩებათ, მიიტანდენ ამ მალა-
ზიაში და გაჰყიდენ. მრ-სამს სოფელს, ერ-
თათ შეერთებულს, შეუძლია ამ საქმის მოხ-
დენა და, თუ ანგარიშით და თავიანათ წაიყვა-
ნენ ვაჭრობას, უეჭველია, ბევრი სარგებ-
ლობაც იქნებათ.
ბაზ. „ღვინის უწყებაში“ დაბეჭდილია „მი-
უსისი სამეურნეო საზოგადოების“ მოქმედე-
ბის განხილვა, რომელიც ვაჭრობით, რომ
„საზოგადოებას“ მოუწოდებთ განთავისუფ-
ლება პურის ეჭვობაში სამზღვარ გარეთის
ვაჭრებიდან და მკლერებიდან და გარდაუწყ-
ველია მანაროგში პურის გასასყიდელი აგენ-
ტობის დაწესება. მრთს ამ საზოგადოების
სხდომაში უფ. ძალიან ვესკის უჩვენებთა-რა
ზიანი მოაქვს მეოჯახებისთვის შუამდებობს
(ვაჭრებს), რომლებიც ჰყიდულობენ ღვინე

ფელეტონი.

ჭარხულ შაბათს, მომატებული სიციხისგან
ბევრი ოხვრისა და ხვნის შემდეგ, მე ვეღარ
გაძეცილი შინ და გამოვარდი გარეთ; შინდო-
და სადმე ჩრდილოში თავი შემეფარებინა;
ალექსანდრეს პარკთან რომ მივდიოდი, შემო-
მხვდა ერთი ჩემი ძველი მეგობარი, რომელიც
საშინელი ქმენით მოდიოდა ტუკიდან; თავი-
დანვე უნდა მოგახსენოთ, რომ ის ქველდუ-
რი კართილი კაცია: უხაუდის ჩახოთ, უხა-
ლუხით და უკალაუხის ქუდით იმას ისე ვერ
შეუძლია გაძლგება, როგორც თევზს უწყლოთ;
ამის გამო, რასაკვირველია, ის ყველაზე უფ-
რო გრძობდა იმ საშინელს სიციხეს, რომე-
ლიც იმ დღეს იყო; იმის პირის სახიდან და
კისრიდან ოფლი წილგარივით მოდიოდა. — მე
შევატყე, რომ ის რალაც ძალიან დაფიქრებუ-
ლი იყო; ასე რომ, მე რომ არ დამეძანა, მგო-
ნია, ისე ჩამვიღოდა გვერდს, რომ ვერც შე-
მინშავდა.

რევზმა მომადვა ტუჩები ყურთან და ხუ-
მათ მითხრა:
— ამბობენ, არაბეთში ახალი მაჰმადი გა-
მოჩენილა და რვა ათას ჯარი თან დაჰყავსო.
ღამიჯერე, რომ ის მაჰმადი კი არ არის (იმას
რა აყენებდა?), ის ნამდვილი ანტიქრისტია,
მაგრამ ხალხს უმალაყენ, რომ არ შემინდენ.
იქას არაბეთიდან დაუწყებია; ჩვენ კი ჯერ-ჯე-
რობით ნაცარი მოგვყავრა და მოსავალი გა-
გვიფუტა. მეთი ნიშნები გინდა? მართლა გვა-
კლია — რკინის ნისკარტებიანი ფრინველები
გაჩნდენ და მერე მშვილობით, ჩემო ლაზარე
და ჩემო რევზ! — მოადადეთ, თქვენ არა გჯე-
რათ, მაგრამ, თუ ცოცხალი იქნებით, ანტი-
ქრისტეს მოსვლას ჩვენც მოვესწარებით. —
ეს თქვა და უკან მოუხედავთ გასწია მთა-
წმოდისაკენ, მგონია, ლოცვით გულის გასამა-
გრებლათ. ამ სიციხეში თუ შენ მთავრინდაზე
ახვალ, ვიფიქრე მე, მეორეთ მოსვლისა არ
უნდა გეშინოდეს.

ის კაცი, რომელიც არაბეთში გამოჩენილა
და რვა ათასი ჯარით დაიარება, ჩემი აზრით,
უნდა იყოს რომელიმე ფანატარი, რომელსაც
ნამეტანი შორანის კოთხით ქუა შემოლია და
თავის თავი ახალ მაჰმადათ მოჩვენებია. მსეც
ოთხი ნუგეში. — ღვინის მოსავალზე კარგის
თქმა, რასაკვირველია, არ შემიძლია; მაგრამ
მე იმით ვაუწყებ ჩემს თავს, რომ სხვა ქვე-
ყნებშიაც ყოფილა ბევრჯე, ლ ცუდი ღვინისა
და ნამუშევრის მოსავალი, ბევრჯელ შინში-
ლობაც, მაგრამ მეორეთ მოსვლა კი არ მო-
სულა. — ეს ხუთი ნუგეში.... მე მგონია, კმა-
რა ამდენი ნუგეში და თავის დაიხედავებთ. —
შველა ესენი რომ მივიღოთ სახეში, ჩვენ
დარწმუნებთ შეგიძლია უთხრათ მკითხველს,
რომ მეორეთ მოსვლის ფიქრი ნუ აქვს,
ჯერ-ჯერობით მანცა.

თუ ცოდვა და გარყენილობა არ არის, თუ
რიგინათ მეგობრობის შენახვა იცის კაცმა,
ან ქალმა. გარყენილობათ მართა მაშინ იქ-
ნება ამ ნაირი მეგობრობა, როცა ქმარი შო-
რდება ცოლს, ან ცოლი ქმარსა და ცალკე
იწყებენ ცხოვრებას, ქვეყნის თვლის წინ;
რიგინათ ადამიანი თავის დღეში არ მოიქცე-
ვა ასე; ის აიჩენს, მართალია, მეგობარს, მა-
გრამ ისე, როგორც კეთილშობილ კაცს ვკა-
დრება; განშორება და ქვეყნის დანახვა რა
საქიროა? ზანა არ შეიძლება ეს საქმე წყა-
რათ, მშვიდობიანათ მოხდეს? ზანა არ შეიძ-
ლება, რომ ქმარსა და ცოლსაც ორივეს
თავ-თავისი ცალკე მეგობრები ყავდეთ და ამ
დროს იმათაც არ გაწყვიტონ ცოლ-ქმრობა
და თანხმობით ცხოვრობდენ? შეიძლება რომ
ეს ყველამ იცოდეს, მაგრამ გარეგანი წესი
და საზოგადოების წინაბითი მოთხოვნილება
თუ რიგინათ დასულია, მაშინ მერწმუნენ, ჩე-
მო რევზ, ამ ნაირი „მეგობრობა“ გარყენი-
ლობათ არასოდეს არ ჩაითვლება....

რევზს ღვინო და ღვინის წყალობა!

რევზს ღვინო და ღვინის წყალობა! რა
ამბავია, რას ჩაფიქრებულხარ, რევზ?
— არ გვმართებს ჩაფიქრება! შენ როგორ
გგონია — თითქმის ორი თვე ამისთანა სიციხე-
ები სიკეთეს დავაყრის? ბეუბნები, ლაზარე,
ეს მარჯვენა უღვაში მომპარსე, თუ ამ ორ-
სამ წელიწადში მეორეთ მოსვლა არ მოვი-
დეს. სუყველა ნიშნებია....

მეორეთ მოსვლა რომ იქნება, ამაში მე
დარწმუნებული ვარ, რადგან სამდელი წერი-
ლში ძალიან ცხადათ არის ამზე ნათქვამი.
მაგრამ იმაზე, რომ ის ამ ორ-სამ წელიწადში
უნდა მოვიდეს, უკაცრავათ თუ არ ვიქნები,
თითქმის იმისთანა კარგს მეგობარსაც, რო-
გორც რევზია, სწორეთ ვერ დავეთანხმები;
კიდევაც რომ მინდოდეს, არ შემიძლია: თქვენც
მითხარით, თქვენც კი რამე, ადვილი დასაჯრე-
ბელია, კარგათ მყოფს რომ ვინმე გითხრას-
ხვალ მოვა შენი აღსასრულიო!

ამათ გარდა ჩვენ ათასი საბუთი შეგვეძლო
წარმოგვედგინა იმის დასამტკიცებლათ, რომ
მეორეთ მოსვლის შინში არ უნდა გექონდეს
ჯერ. თუ მაინცა და მაინც მოითხოვთ, ერთს
კიდევ მოგახსენებთ. ჩვენ ვიცით, რომ მეორ-
ეთ მოსვლის წინ ქვეყანაში ჩამოვარდება
გარყენილობა, ხალხი აირევა, უნცროს-უმფ-
როსობა აღარ იქნება, რომ ქვეყანა ყოველ-
ცუდს საქმეს კარგათ დაუწყებს ყურებას და
კარგს ცუდათ, გაჩნდება კაცებში ერთმანერთის
მტრობა, ერთმანერთის შური და სხვა ყოვე-
ლი უწყესობა.... ესლა მითხარით, თქვენი კი-
რამე, არის, მაგალითათ ჩვენში, იმისთანა ნი-
შნების თუ გინდ მკირედი ნაწილი, თუ არა?
მთქვით გარყენილობა! აბა ერთი მაგალითი
მიჩვენეთ? — მე ვიცო, რევზისთვის რომ მეკი-
თხა ეს, მეტყოდა: — გარყენილობა არ არის
ის, რომ ძალიან ხშირათ ჩვენი ცოლ-ქმრები
ერთმანერთის ბეჯითი არ არიანო, რომ ხშირათ
ჩვენ ცოლებს ჰყავთ თითო მაინც, — მაგალი-
სქესის შინაური მეგობარი“ და ქმრებს „ვა-
რევანი დედალი სქესისა“? —

რევზი, რასაკვირველია, აღარ გაძათავები-
ნებდა და გაუთლისებული გასწედა მთავრინ-
ლისაკენ. — რომ მოეცადა, მე ბევრ რასმე იმი-
სთანას ვეტყვიდი კიდევ რევზს, რომ ყურბ-
ში თითებს დაიკობდა. მაგალითათ, მე დაუ-
წყებდი იმას ქადაგებას იმაზე, რომ საზოგა-
დოთ ლიტერატურა ძალიან ეხმარება ხალხის
წინგობის გაუმჯობესობას, რომ ჩვენი ლიტე-
რატურაც არ ჩამოუდგება სხვა ლიტერატუ-
რებს უკან ამ საქმეში (აქ ის ყურბში თი-
თებს დაიკობდა — ჩვენი ლიტერატურას არ —
რა სწამს). მეტყოდა, რომ „სისკარმა“ ამ
მხრით ცოტა სარგებლობა არ მოიტანა (ამ
დროს რევზი ხელებს ჩამოიღებდა ყურბი-
დან); ვეტყვიდი რომ „დროშაც“ ამასა სც-
დილობს. მეთქი (უეტრათ გასწედა ხელებს
ყურბისკენ) და ბევრს ათასს რასმე ვეტყო-
დი, მაგრამ არ მომისმინა: —


აბა ნიშნები?

შე დალოცვილის შეილო, მეთი ნიშ-
ნები გინდა? მის სიციხეში სიკეთეს მოასწავებს?
ამბობენ, ინდოეთში ისეთი სიციხეებია
რომ დღეში ასი კაცი კედება; წინათვე ამზა-
დებენ თურმე კუბოებს. — სპ. რსეთში ხოლერა
გაჩენილა და ყოველ დღე სამოც კაცს ფეხე-
ბს აკომინებს. — ჩვენ რომ ღვინო არ მოგვდის,
ეს ღვინის რისხვა — არ არის? როგორ გგონია
დიდხანს გასძლებს ქართველი კაცი უღვინოთ?
ნაცარი ვისი საქმეა, შენი აზრით? ანტიქრის-
ტეს, ჩემო ლაზარე, ანტიქრისტეს; დარწმუ-
ნებული იყავი ამაში; მთელი ქვეყანა ამას გე-
ტყვის. ახლა კიდევ, ამბობენ....

თქვენ როგორც გინდადეთ, ისე ჰქენით:
გინდა დაიჯერეთ ჩემი მეგობრობის სიტყვები
და გინდა ნუ. მე კი ვაიმედდებ ჩემს თავს
და ვამბობ: ქვეყნის საქმეები მართლა ისე
ცუდათ არ მიდინან, როგორც რევზი ამბობს.
მეორე დღესვე, რევზთან მუსაფიფს შემდეგ,
მოვიდა წვიმა; ეს ერთა ნუგეშია. — სპ. რსეთში,
როგორც ვაზეთებში სწერენ, ხოლერა ჰკლე-
ბულობს; ეს ორი ნუგეშია. — ინდოეთში, ეს
მე ვიცი გეოგრაფიდან, ყოველთვის ძალიან
სიციხეები იცის; შეიძლება წელს ცოტა მომა-
ტებული იყო, მაგრამ რა უყოთ? რომელიმე
ბუნებითი მიზეზი იქნება; ეს სამი ნუგეში, —

მოდი და ნუ გაიცინებდი ამისთანა უბრა-
ლო სიტყვებზე!
— ჩემი აზრით, უბასუხებდი რევზს, „ში-
ნაური“ და „გარეგანი“ მეგობრობის ყოლა, ძა-
ლიან დაახლოებულიც რომ იყოს ის, არაფე-

ესლა „უნცროს-უმფროსობა“! — სად არის,
მითხარით, ისე წმინდათ და ისე ღირსეულათ
ის დასული, როგორც ჩვენში? მაგეგონათ
თქვენ დღეში, რომ ახნაური ჩვენში გლტ-
თან დამჯდარყოს, კოლექსი რევისტრატო-



მოყვანილს პურსა და მერე სამზღვარს გარეთ გააქვთ გასასყიდლათ და ბევრს იგებენ; 1867 წელსი საუკეთესო პური ტაგანროგში ჩეტვირტი 14 მანეთით იყიდებოდა; ეს პური ანგლიაში 23 მან. ვაღიოდა და ისპანიში 30 მან.; ასე რომ პურის გამტანს, გზის ხარჯს გარდა, 5-10 მანეთი მოგება რჩებოდა თითო ჩეტვირტზე. შუა ძალიანოვსკი ამბობს, რომ ჩენი (მიუსკის) „საზოგადოება“ რომ მოილაპარაკებდეს და დაიჭერდეს საქმეს „რუსის საპარახოდო და სავაჭრო საზოგადოებასთან“ (Общ. Парак. и Торг.), ეს ორივესთვის-ჩენთვისაც და იმ საზოგადოებისთვისაც, უჭველია, სასარგებლო იქნება.— „რუსის საპარახოდო და სავაჭრო საზოგადოებას“ აქვს ხომალდები, რომლებზედაც ის გაიტანდა ჩვენს პურს სამზღვარს გარეთ და პირდაპირ მსაჭიროებლებს მიჰყიდდა; მოგება და წაგება, რასაკვირველია, საერთო იქნება. ის მოგება, რომელიც აქვთ ეხლა ჩენი პურის ეაჭრობით სხვა და სხვა შუამავალ ეაჭრებს, მაშინ ჩვენვე დაგვრჩებოდა.

ჩენი რომ ამ მაგალითს ყურადღებას მივაქცევდეთ, მე მგონია, ძალიან კარგი იქნება. ჩვენშიც ხომ ისეა, როგორც იქ.

„დროშის“ კორექსორდენი სოფ. მუხრანში.

23 მარამობისთვის.—მუხრანში ამ წელს კარგი პურის მოსავალი არ მოვიდა; თუმცა ზამთარი კარგი იყო და ამ ზაფხულს სეტყვამ აქვთ არ

*) მუხრანი ღუმელის უფლებში; მძილისიდან 40 ვერსზე.—

რი კოლექსკი სოცეტრისთან, მდიდარი ღარიბთან, განათლებული გაუნათლებელთან? მერაინ ვერ მტყვის, რომ ამისთანა უწყობა და ყოველი კანონის შეურაცხყოფა მომხდარი იყოს როდესმე ჩენში! ჩენი ხალხი ძალიან პატივის მცემელია უფროსების: ერთს ვერსზე რომ დინახოს კაკარდანი ვინმე, იმ წამსვე ქუდს მოიშვლებს და დიდს მოწიწებით მიუახლოვდება; უშენი ჭირიმეთ და უზატონოთ ხომ ორს სიტყვას არ იტყვის... მეტი ზრდილობა და უნცროს-უმფროსობის დაცვა იქნება? მე მგონია, ეს სრულებით მეორეთ მოსელის ნიშანი არ არის.—

რომელი ისეთი ცუდი საქმეა, რომ ჩენში კარგათ უყურებდენ, ან რომელი ისეთი კეთილი საქმეა, რომელზედაც ჯეროვანი ყურადღება არ გექონდეს ჩენ მიქცეული? მე დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი ამისთანა საქმე არ მოინახება.—ზა გნებათ? შური? შევლამ იცის, რომ შური ჩენ ძალიან ცუდ თვისებათ მიგვაჩნია. ხანდისხან, რასაკვირველია, ჩენ ძალიან გვწყენს, თუ ჩენი მებობელი მეტის მეტი მდიდარია და ჩენ კი არაფერი არ გავგანჩნია; ხანდისხან ჩენ ერთობ ბევრს ეფიქრობთ ჩენი თავის ბედნიერებაზე და იმისთვის სხვების ბედნიერებას მაგდენათ არ ეზოგავთ; მაგრამ რა უყოთ? არ გავგონათ ქართული ანდაზა, რომ „შამაც მიყვარს, დედაც მიყვარს, თავი ყველას მირჩენია“?

მართანერთვის მტრობა? მხლა სრულებით აღარ არის ჩენში; უწინდელ დროში, კი ყოფილა, როგორც გამოგონია, მაგრამ ესეც ყველას ერთმანერთი მშობივით გვიყვარს, ერთი მეორეს ვეწვეით, ხელს უწყობთ... მართალია, ხანდისხან გამოგონია, რომ ეს კაცი იმს უჩივის, ესა და ეს კაცი წაიკიდნო, ამან იმს ცუდი ამხანაგობა გაუწია; მაგრამ ეს „ხანდისხან“ მოხდება, მუდამ ხომ არა..... მს საბუთები, მგონია, საქმათა იმის დასამტკიცებლათ, რომ ჩენ რიგინათ და კეთილგონიერათ ვცხოვრობთ და სანამ რიგინათა და კეთილგონიერობა სუფევს, მანამ მეორეთ მოსელის არ უნდა გვეწინაოდეს.—

გარემოჭკრა, მაგრამ გაზაფხულზე—ღამით—ატენილმა წვიმებმა და დღისით მომატებულმა სიტყებმა ხორბლი აოდელი მოიყვანეს. მანებს ბალახიულობა ძალიან მოერია; გულდაუშუტა და მეტადრე ქინძის თესლი ძალიან ურევია პურში, ასე რომ გამოსაველსა თითქმის მებუთელი ნაწილი კიდევ დადგება. საზოგადოთ პურის მოსავალი ისეთია, რომ სულ უკანასკნელი მეოთხედი დააკლდება; იმისთანა მოჩივრებიც არიან, რომლებსაც ნახევარზე მეტი არ მოსვლია; ზოგს კი, ამბობენ, ნახევარი კი არა, სულაც არ მოუშკათ ყანები ცაროელი ბზის გულისათვის. შუნი კი აქაური მოსავალი გათქპული ყოფილა: აქაურების სიტყვით, დღიურზე ხშირათ 20 კლდ მოდიოდა; კარგი ამინდის დროს კი ხანდისხან 30-40 კლდ მიაჭყადათ დღიურზე.—

სოფ. მუხრანი მდებარეობს მანის ხეობაზე, დაცემულ ადგილზე და მშენიერი სარწყავი მიწები აქვს; თვისებთაც მიწა—შავი მიწა; ამას გამო, რასაკვირველია, წვიმებმა ამ ადგილის მოსავალი ძალიან წახდინა. საცა კი ყანა უფრო ფერდობზე იყო, იქ საქმა მოსავალი მოვიდა.—ამ ჟამათ ხორბალი ისე იდგება აქ კოდი ორ მანეთათ, ქერი-ე ქვს აბაზათ. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ აქაური კოდი შალაქისაზე ნაკლებია: ის ირწყავს ცხრა ლიტრას და არა ათს, როგორც ქალაქისა.—

როგორც ზევით ვთქვი, ზამთარი აქ წრეულს კარგი იყო, ესე იგი, კარგი თოვლი მოვიდა და კარგი სიტყეები დაიჭრა; ამისგან, ვისაც დაწინული არა ჰქოვდა ვაზი, წახდა; გადარჩენილს, თუმცა კარგა ასხია, მაგრამ ნაცარმა ზინი მისცა. წასულ კვირას უღრუბ-

მართი მეც, რას ჩავაცივდი ამ მეორეთ მოსელას. მანა სხვა არაფერი საფელეტონო საგანი, რომელზედაც შეიძლება უფრო სიამოვნებით მოუსაიფო? მეორეთ მოსელის გახსენება მე სრულებით არ მიწდოდა მკითხველისთვის; ვიცი რომ ის ბევრს მოაგონებს ისეთს, რომლის გახსენება სრულებითაც არ ესაიამოვნება. ის გაიხსენებს თავის ძველსა და ახალს ცოდვებს; მოიფიქრებს, რომ ამ ცოდვებს მონანება უნდა, იმას მოაწევა შუბლზე ცხოვრების სხვა და სხვა ანგარიშები, რომლებსაც, აღრე იქნება, თუ გვიან, უნდა გაუსწორდეს. მე ეს ყველა ვიცოდი და ვიცი, მაგრამ რა გქნა. ღმერთმანი, მთელი საათი ვზივარ კალმით ხელში, მაგრამ ვერა მომინახავს რა რიგინი, მართალია, ბევრი რადაცაეტი მოადგენ ჩემი კალმის წვერს და მსხვერვებოდნენ—ჩამწერო, მაგრამ მე ვატყობდი, რომ არც ერთი იმათგანი არ იყენენ ჩემს მატინეში ჩამწერის ღირსნი.—მე ათასჯერ გამომიცდია რომ, როცა დიდხანს მიფიქრია ჩემი ფელეტონისთვის მასალების მოსაძახავათ, ყოველთვის დამზნევი ხოლმე აზრები და ვერც ერთი ხეირიანი მასალა ვერ მომინახავს; ყველაზე უკეთ მაშინ გამოსულა ჩემი „ქმნილება“, როცა გაჭივით მივერდნივარ სტოლს, უეცრათ ამილია კალამი ხელში და, რაც პირველათ მოსვლია თავში, იმაზე დამიწყია ფილოსოფიურათ სჯა და საუბარი..... საქმეც ის არის, რომ უეცრათ შექმნა კაცმა რამე, თორემ კრუხივით რა დეაჯდენ ჩემ ქმნილებებს, დარწმუნებული იყავით, მაშინ მეც ქვეყნის გასაოცარს რასმე შეექნი; უჭველია, ან მეორე ამერიკას გამოვაჩენ და ან თოფის წამალს გამოვიგონებ....

მაშ ახლაც ისე ვიქ... მს უკანასკნელი სიტყვა რა დაწერე, მე უეცრათ გამოილევა თავში აზრმა, რომ ამ სამზამთს აქ რუსულს ტეტარში პირველი წარმოდგენა იყო და რომ, სხვათა შორის, ტეტარზე ანგარიშის მიცემაც ფელეტონისთვის საქმეა, რადგან, როგორც რიტორიკაში გავსწავლიდნენ, ტეტარს აქვს დიდი ზედმოქმედება კაცის სულიერ თვისებაზე, მისს ესტეტიკურათ გახსნაზე, მაშ-

ლო ჯანლი იყო და, ამბობენ, ნაცარი მოგება. ჯერ ამ ჟამათ ყურძენი არ არის აქ შემოსული და ენკენისთვის ნახევამდინ სთველი არ დაიწყება. აქაური ღვინის მოსავალის ნაკლებობა შალაქსაც დაეტყობა, რადგანაც, მას აქეთ რაც ძახეთში ღვინომ იკლო, აქედან უფრო ბევრი მიჰქონდათ იქ.

მუხრანში იქნება 500 კომლამდის—გლეხობა და თითქმის ყველას ევენახები აქვთ. აქაური ღვინო ფასობს—კოკა (თხუთმეტი თუნგი) ოთხი მანეთიდან თერამეტამდის. ზღვებს მოჰყავთ ისეთი ღვინო, რომელიც უფრო ხშირათ 10-12 მანეთად იყიდება; მებატონეების ღვინოც ამავე ფასისა; მხოლოთ ზოგიერთებს ამათთავანს 15-18 მანეთიანი ღვინო უდგებათ, რადგან უფრო კი დაყენება იციან. ამ ჟამათ აქ წერილათ ისეთი ღვინო ისე იდგება თუნგი ოთხ აბაზათ, რომ ქალაქში იმაში სამ აბაზ უზალთუნსაც ირავინ მისცემს.—

ზარემშო სოფლებში: წილკანს, ძაღისს, მსოერისს, ღამალას, შადისჯვარს და ალაიანს, ზოგან უკეთესი მოსავალია და ზოგან ისეთი, როგორც მუხრანში.—საზოგადოთ, როგორც შორის უფლებში, აქაც ისე სარწყავ ადგილებზე კარგი მოსავალი არ მოვიდა.—

ძალოების გალენწვას ამჟამათ ჯერ არ მოჩენილან; კარგი დარბია და ორი—სამი დღის მეტათ არ მოცდნილან. ძალოს მუშაკაცი ფასობს თვით რვა მანეთათ, დღიურათ—ორ აბაზათ; ჯამა—სამაც პატრონისა.

3. უ.

ცომაზე, კეთილმოყვარეობაზე და სხვ. და რაც საზოგადოებას შეეხება, ის, რასაკვირველია, ფელეტონისთვის საქმეა.

მხლა მაშ მოგახსენებთ—როგორი იყო პირველი წარმოდგენა.... მაგრამ უბედურება ეს არის, რომ არ ვყოფილვარ ამ პირველ წარმოდგენაზე, თუმცა ძალიან გულით მიწდოდა... რა მე რე რომ არ ვყოფილვარ, განა უამისოთ არ შეიძლება ჩემი აზრი გამოეთქვა ამ საგანზე? მე გავწინჯავ ჩემი აზრის გამოთქმას და, იმედი მაქვს, ერთს ტუილს ვერ შემწამებს მკითხველი.... აბა დავიწყებ თავიდან და ყური მიგდეთ: პირველათ, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, უნდა მოგახსენოთ, რომ ტეტარის სახეს იყო მატურბლებით და გაუყიდლათ არც ერთი ბილეთი არ დარჩენილა ასე, რომ, ვინც წარმოდგენის წინ რამდენიმე საათით და არა დღით ადრე, მივიდა ბილეთის სასყიდლათ, ყველამ კულამოტებულნი ინება შინ წაბრძანება.—ადგილები გაუიფებიათ: კრესლოები, რომლებიც უწინ ორ მანეთათ ღირდენ, ეხლა მანეთ ნახევრათ გაუხდიათ და მანეთნახევრიანი—მანეთათ. მს, რასაკვირველია ყველას იამა, ვინც კი მოსწრო ბილეთის შოვნა და ვინც ბილეთი ვერ იშოვნა, იმას ორჯელ უფრო მომატებულათ დაწვდა გული.—აქტიორები და აქტრისები ზოგი კარგათ თამაშობდენ და ზოგი კო სუსტათ, მაგრამ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა ცდილობდა კარგათ წარმოდგენას, რადგან მომატებული ნაწილი იმათგანი ახალ ჩამოსულები იყენენ და ამის გამო ძალიან სურდათ პირველი წარმოდგენიდანვე მოეწონებინათ თავი პუბლიკისათვის. შუ. ილოვისკი და სოკოლოვი ძალიან კარგათ თამაშობდენ; მე ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ იმათი გვარები საშინელი დიდი ასოებით იყო დაბეჭდილი აფიშაში. (თუ შევეცდი, მარტო ამაში; მაგრამ ჩემი ბრალი არც ეს შეცდომა იქნება.) ღეკორაცია არც ძალიან კარგი იყო და არც ცუდი; მძილისისთვის ძალიან კარგი და შლორენციაში, მგონია, არ მოიწონებდენ.—წარმოდგენის დროს მგონობიარე ქალები ხშირათ ცხვირსახოცს ამოიღებდენ და თვალზე მი-


რუსეთის ამაზრობა

„პეტერბურლის უწყებებში“ სწერენ: ჩენი შეეიტყეთ რომ სახალხო განათლების მინისტრისათვის მიუციათ თხოვნა, რომელიც ხელმოწერილია მრავალი პატივეცემული პირებისაგან და რომელშიაც ისინი სწერენ, რომ ახლა საზოგადოებაში მაქცია ჯეროვანი ყურადღება თავიანთი შეიღების აღზრდასა.—ლიტერატურაში დიდი ხანია ლაპარაკი იყო იმ მძიმე ტვირთზე, რომელიც აწევბათ მომეტებულათ კლასიკური გიმნაზიის შეგირდებს; მართლად ყმაწვილებმა იქ დიდი შრომა და წვალევა უნდა გასწიონ, რომ ყველა საგნებში კარგათ გამოვიდნენ; საუკეთესო შეგირდები იქამი არიან მიყვანილნი, რომ ხშირათ ღამე არა სძინათ, ყვითლდებიან და იქანცებიან სწავლით, რომლისაგანაც სარგებლობა საეჭვო, და ენება კი იმათი სიმთეფისათვის ცხადია. ამნაირმა შეიღების მდგომარეობამ გამოითხოვა მშობლებისაგან ის საერთო თხოვნა, რომელზედაც ზევით ვსთქვით. მინისტრმა ეს თხოვნა გაუზახნა სასასწავლებლო მატურბების მზარეველებს, რომლებზედაც, თავის მხრათ, გიმნაზიების დირექტორებს გაუზახნეს ის და მოსთხოვეს, რომ ამ საგანზე იმათ თავიანთი აზრი გამოგზახნონ. იმედი არის, რომ დირექტორები მიუდგომელათ გამოთქვამენ თავიანთ აზრს ახლანდელს ხალხის განათლების მდგომარეობაზე და იმის ნაკლებულყენებას ცხადათ ასწერენ.—შეგირდებს მარტო ძველი ენების სწავლა არ უძნელებს საქმეს; საგნების უთავებლობათ დაყოფაც ძალიან საგრძობელია იმათთვის: პირველი კლასი კიდევ ადვილია, მაგრამ მეორეში რომ გადადის, იქ დახედება უეცრათ აუარებელიდენ და კიდევ უფრო ხშირათ სიცილით სკდებოდენ.—გიმნაზიელების ტაშის ცემასა და „ბრაფოს“ ყვირილს სამზღვარი არა ჰქონდა....

მხლა მეტი რადა გინდათ? მე მგონია, რაც შეიძლება, ყველაფერი ვთქვი; ვისაც უნდა და რაზედაც უნდა დავენიზლავები, თუ ამაზე მეტს და უფრო ბევრათ რომელიმე იქ დამსწრე უწარჩინებულესი ტეტარის კრიტიკი იტყოდა!

ზავათვე; მაგრამ კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი. სხვათა შორის უნდა მეთქვა, რამოდენიმე სიტყვა მანც, ჩენს ახლათ აყვავებულ ლიტერატურაზე; უნდა მეთქვა, რომ ამ წელიწადს დიდი პატივისცემით და გაკვირვებით შეხედდეს მომავალი ჩენი ლიტერატურის ისტორიკოსი, რომ ეს წელიწადი უჭველათ ჩაიწერება მატინეში და მომავალი ბიბლიოგრაფი წაიკითხავს იქ შემდგეს სიტყვებს: „1869 წელი იყო ჟამი ქართული ლიტერატურის განდვიძებისა; ამ წელში გამოდიოდა სამი ჟურნალი და სამი გაზეთი. ამ წელში გამოსცეს მრავალი სულისა და გონების გამამშვენიერებელი წიგნები“ და სხვა და სხვა, მაგრამ ჩემი კალამი, ვატყობ, ისე თავისუფლათ აღარ დახტის ქალაღზე და ამიტომ, მეორეთ „ზეგარდამო შთაგონების“ მოსვლამდის, თავდავანებებ წერას; მკითხველს ბოდინშ მოეთხოვ უბრალოთ დროს დაკარგვისათვის და კიდევაც გამოვეთხოვები.—

ლ. ზ. მებისწელი.—



ლი საგნები, რომლის სწავლას დიდი მოახრება და მესხიერება სჭირია. ახალი ენებიდგან ყმაწვილები ვალდებულნი არიან მარტო ერთი ისწავლონ, მაგრამ ყველა ყმაწვილს დედ-მამა ურჩევს, რომ ორივე (ფრანკო-სლავური და ნემცოური) ისწავლოს. ამ გვართ თერთმეტი წლის ყმაწვილი, რომელიც კულს ჰადაში და ხშირათ ნოტიო სახლებში სცხოვრობს, ზის სამი ენისა და და უნაგარიზო საგნების სასწავლებელათ იმდენს ხანს, რამდენ ხანსაც ძალიან გულსმოდგინე ნემცოცი არა ზის ხოლომე თავის კაბინეთში. ამნაირი ცხოვრება მით უფრო მანებელია ყმაწვილებისთვის, რომ იმათ აკლიათ კარგი ჰაერი და გიმნასტიკა, რომლებსაც უშლიანთ მათი სხეულის გამგრება. ნეტა ამ სკამზე დაბას და მრავალ საგნებს მოჰქონდეს მაინც თავის შესაფერი სარგებლობა. — **ზამოჩნილ ბერმანიის სწავლულს ზუმბოლდტს** აჩვენეს ერთხელ პაჭების კორპუსის პროგრამა; ამბობენ პროგრამის წაკითხვის შემდეგ, იმან სთქვაო: „მე რომ იმის ნახევარი ვიცოდე, რაც აქა სწერია, მაშინ ჩემს თავს უბირველეს სწავლულათ შეერაცხდი.“

— **უცხო ქვეყნების გაზეთებში** სწერენო, ამბობენ პეტერბურგის უწყებები, რომ ფრანგების მღვდლებმა მარშავეში (პოლშა) გაიგეს, რომ უცხოლობა მაინცა და მაინც დიდი ღირსება არ არის სამღვდლო პირებისათვის; ამ აზრის მომხრენი უფრო ახალგაზდა ქსიონდლები (პოლშელების პატრები) არიან. **გაზეთი Politik-ის** კორესპონდენტი ამბობს, რომ რუსის მმართველობა სულ არ უშლის ამ გვარი აზრების გავრცელებასაო.

მაიატკში იყო დანიშნული კომისია, რომელსაც სახალხო განათლებაზე უნდა მოელაპარაკა; ამ კომისიის ანგარიში სხვათა შორის სწერია: „რომ ხალხისთვის აუცილებელი საჭიროებაა მეურნეობისა და საზოგადოათ იმისთანა საგნების ცოდნა, რომელიც ყოველ სოფლის კაცს გამაადგება ცხოვრებაში. ამ ნაირი ცოდნის ხალხში გასავრცელებლათ უნდა გაიხსნეს საზოგადოების ხარჯით საშუალი მეურნეობის შკოლა“, სადაც მოიშაადებიან პირველ დასაწყისი სოფლის შკოლების მასწავლებლები. ამ შკოლასთან უნდა იყოს ისეთი სამაგალითო ფერმა, რომელშიაც შავირდები იმუშაებენ და ამრიგათ ნამდვილათ გაიცნობენ მეურნეობას.“

პოლიტიკა.

ანგლია

ლონდონი, 15 აგვისტოს. Neue freie Presse-ში იწერებია ლონდონიდან ანგლიის ქალების მდგომარეობაზე: „**იმ პროექტებთ შორის**, რომლებიც არ დამტკიცდენ წარედანდელ პარლამენტის სესიისაში, არის აგრეთვე პროექტი (ბილი) „ქმარიანი ქალისაგან საკუთრების შექნაზე“. ეს სამართლიანი კანონი, რომელიც აძლევს ანგლიის ქალებს საკუთრების შექნის და ქონების ნებას, დამტკიცდა, როგორც იყო, საზოგადოებების პალატაში, მაგრამ ლორდების პალატამ უარი თქვა დამტკიცებისა და გარდასცა ეს საქმე მერმისისთვის, თუმც ეს ისე უბრალო საქმეა, რომ ამის დამტკიცებას ხუთი მინუტის მეტი არ დასჭირდებოდა. — **საზოგადოათ ანგლიის მდებია** ხალხის ქალი ძალიან ცუდს მდგომარეობაშია; მართალია თითონ ანგლიელები ძალიან პატრეს სცემენ ყოველთვის ქალს; იქაური ქალები ყანაში არაოდეს არ მუშაობენ, არ სთოხნიან, არ შკიან, მძიმე ტვირთს არ ააზიდენენ; ერთი

სიტყვით, იმათ არაფერ მძიმე სამუშაოს არ მისცემენ, ისე როგორც ბერმანიისაში. მაგრამ მის მაგივრათ ქალების შესახებ კანონები ძალიან უსამართლონი არიან ანგლიაში; აქ ქალს არ შეუძლია თავის საკუთრება ჰქონდეს; კანონის ძალით ქმარს ყოველთვის შეუძლია წართვის ცოლს ყველაფერი, თუ ცალკე დამტკიცებული არა აქვს იმას; მაგრამ ცალკე დამტკიცებას ბევრი ხარჯი უნდება და ღირებებს სადა აქეთ ამის შექმნება; ამას გარდა ყოველი ნიეთის და ქონების ცოლის სახელზე დამტკიცება ძალიან ძნელია. — ამ ნაირ უსამართლო კანონებს ბევრი ენება მოაქვს, განსაკუთრებით დიდს ქალაქებში და ღარიბი—მუშა ხალხისთვის; ათასს დედაკაცს ნახავთ თქვენ ანგლიაში იმისთანას, რომელიც დღე და ღამე მუშაობს თავის ზარმაცი და უსაქმო ქმრისთვის. — ამ ნაირი მდგომარეობა ქალებისა უნდა მოესპო იმ ბილს, რომელიც ზევით იყო მოხსენებული, მაგრამ ლორდების პალატა არ დათანხმდა ამაზე და საქმე კიდევ გადაუწყვეტლათ დარჩა. — **პარტიოჯახების**, არისტოკრატების ქალებს ყოველთვის შეუძლიათ დამტკიცონ თავის სახელზე რაც სურთ, იმათთვის ეს საქმე გაადვილებულია და ღირებების კი რადარდი აქეთ მდირებება და შექმნებულ ლორდებს! —

ლონდონი, 9 (21) აგვისტოს. ანგლია-ამერიკის ტელეგრაფის კამანია აპირებს ანგლიისა და პრუსიის შუა წყლის ქვეშ ტელეგრაფის გაყენას.

ისპანია.

მადრიდი, ივლისის 16. ზაზ. „Temps“ ში იწერებია მადრიდიდან, რომ კარლისტები თითქმის სულ დაიფანტნენ; მხოლოდ ტოლედის მთებში არიან კიდევ რამდენიმე დამალულიო. — **მალენსიაშია**ც გამოჩენილან კიდევ მცირე ბანდები. საზოგადოათ კი პარლისტების მოძრაობა აღარ არის ეხლა საშიშო; მაგრამ კიდევ მოელიან რესტავრაციულ (ძველი დაწყობილობის აღდგინება) მოძრაობას, რომელსაც, იმედია, ხეირიანი ბოლო არ ექნება. — **ეს მოძრაობა** იქნება ასტურის პრინციის სასარგებლოთ.

— ივლისის 21. — **გაზეთი „Iberia“** სიტყვით ბევრი კარლისტების ბელადები უკაცყოფილოთ არიან იმაზე, რომ ლონ-პარლოსის ლაგერში ფული შემოჰქვებიათ. **ლონ-პარლოსის** მომხრეებმა ამ ცოტა ხანში დახარჯეს 45 მილიონი რეალი სრულებით უსარგებლოთ. **მომატებული ნაწილი** ლონ-პარლოსის მომხრეებისა სისაწყლისა და გაქირების გამო მიჰკვდებოდნენ იმას; ამიტომაც ეხლა იმისი ჯარი დაეჩქარა ახალი მმართველობის მიღებას. **ზარდა ამისა** ცუდათაც იყენენ ისინი დაიარაღებულები და საკმელიც უფრო ცუდი ჰქონდათ. ამბობენ, პარლოს მე VII ძალიან დაღონებული არისო. — **თითქმის ყველა მადრიდის გაზეთები** თხოულობენ, რომ მმართველობა სასტიკათ არ მოექცეს კარლისტების ტყვეებს. —

მადრიდი, აგვისტოს 20. — **ბერონის პროვინციაში**, „Temps“ სიტყვით, გაჩენილა რიცხვით ცოტა კარლისტების თაბუნი. ისპანიის მმართველობას გაეგო, რომ ტრისტანი და სხვა კარლისტების ბელადები აგვისტოს ოცში მატალონიაში აპირობდენ შესვლას პირინეის სამზღვრიდან; იქ იმათ უცდიდენ სხვა დაიარაღებული კარლისტები; ამიტომ მმართველობამ მისწერა მატალონის მმართველს, რომ სამზღვარზე დაეტუსაღებინა კარლისტების ბელადები. — **შრანციიდან** ტელეგრაფით აცნობეს, ისპანიაში რომ, როგორც კი შეიტყო იქაურმა მმართველობამ კარლისტების ბელადების განზრახულება, მაშინვე დატუსაღა ისინი და გაგზავნა ერთს შრანციის დასავლეთის ქალაქში. —

— 21 აგვისტოს. **შმეტესი** ნაწილი გაზეთებისა არ ამართლებენ იმ ხმას, რომ ვი-

თომც რეგენტი სერანო ცდილობდეს გეროცი მოწაწის კანდიდატობას ისპანიის ტახტზე. **გაზეთები** ამბობენ, რომ სერანო არც ერთისკანდიდატობას არ სცდილობსო. — **შრანცია.**

Liberté-ში დაბეჭდილია სენის გამომარჩელების შემდეგი წიგნი ბარნიე-პაქსტინს, რომელიც იმათი წარმომადგენელია ქანონდებულ ძორპუსში: „**პატივცემულო დეპუტატო!** შკანონათ დატუსაღება ძალიან გახშირდა ამ უკანასკნელ დროს. ამისთანა ზომები, რომელსაც მართებლობა მიმართავს იმ დროს, როცა ჩვენ გვარწმუნებენ, რომ ის გვიბრუნებს ჩვენ უფლებებს, ძალიან აშინებს მოქალაქებს, ავინებს ვაჭრებს და ერთმანეთის წოდებას; ამ ხშირი დატუსაღების გამო ჩვენში აღარ მოდიან სხვა მხრის კაცები, იმათაც ეშინიათ, რომ შეცთომით არ დაატუსაღონ, მაგრამ ტყუილ უბრალოთ დატუსაღებული ამერიკელი, და ნემცი ჩვენზე უფრო ბედნიერები არიან: იმათ იმ წამსვე გაათავისუფლებენ, როგორც მათი კონსულები მოითხოვენ. ჩვენ კი, ფრანკოებს, არაფერი არ გვშველის, არც კანონი და არც სხვისი თხოვნა. — **ძველი კონსტიტუციის** მე 75 სტატია, რომელიც ახლა გაახლეს, იფარავს ადმინისტრაციის აგენტებს პასუხის გებისაგან რომელიმე პირის უკანონო მოქცევისთენ და დატუსაღებისთენ. ამ ნაირი უფლების მიცემა წინააღმდეგია ყოველი ზნეობითი გრძობისა, და ამის გამო ანგლიაში, პრუსიაში, ასტურიაში, ისპანიაში, ბელგიაში და სხვაგან მოსამსახურე პირები პასუხს აგებენ სასამართლოს წინ თავის უკანონო მოქმედებისათვის. — **მართა შრანციაში** მოსამსახურე პირებს შეუტოვებლათ აღიარებენ. — ჩვენ გესურს, უ. დეპუტატო, რომ გაგვათავისუფლონ ამ დადაბლებულ და გაუპატიურებულ მდგომარეობიდან. ჩვენთვის მე 75 სტატის მოშლა უფრო სასურველი და სასარგებლოა, ვიდრე სხვა ბევრისა. — **ამის გამო** თქვენ მოგანდობთ ამ საქმეს და გთხოვთ-ეცადოთ, როცა ძანონდებელი ძორპუსი გაიხსნება, რომ ეს სტატია მოსპონ. — **თქვენი და სხ.** (ეს წიგნი ხელმოწერილია მრავალი გამომარჩელებისაგან.)

პარიჟი, ივლისის 17. **ლიონის** გაზეთი „Discussion“ მოისპო. სხვა გაზეთებსა-ვით ესეც მმართველობისაგან დადებულ შტრაფებმა მოკლეს. ამ გაზეთს ერთი წელიწადიც არ უტოცხლია და ამ ხნის განმავლობაში სამჯერ შტრაფის გადახდა შეუქამა ერთი მეოთხედი თავის თანხისა. **როგორც** პარიჟის ყურნალები ამბობენ, არც ერთი პროვინციის გაზეთი არ იყო ისე ლიბერალური და მკვიდრი აზრების და ვერც ერთი გაზეთი ისე მკაცრათ და მოხერხებით ვერ ომობდა თავისუფლებისათვის, როგორც „დისკუსიონი“. ამ გაზეთის რედაქტორი — პოლ-დიუმარე უკანასკნელ ნომერში იწვევდა ვაჭრებს და ხალხს, რომ თანახმა იმოქმედონ და უმტკიცებდნენ, რომ მხოლოთ იმათ თანხმობას შეუძლია და აფუძნოს თავისუფლებაო.

პარიჟი, აგვისტოს 22. — **პერპინიანიდან** მიუღიათ ცნობები შრანციისა და ისპანიის სამზღვარზე კარლისტების დატუსაღებაზე. **ლაუქერიათ** ერთი პოლკოვნიკი და ხუთი უბრალო აფიცრები. ამბობენ, სამზღვრები შრანციაში ძალიან გამაგრებული არიანო. — **„Temps“** ამისტიის დეკრეტზე ამბობს შემდეგს: „**საზოგადო** მოლოდინი არ მოტყუებულა; ამისტიაზე დეკრეტი მართლა გამოვიდა. ამ დეკრეტის ძალით განთავისუფლებიან როგორც ბეჭდვის კანონების წინააღმდეგი, ისე პოლიტიკურ საქმეებში, დაძაწვეები. **თუმცა** იმპერატორმა თავისი ნებით და სურვილით გამოსცა ეს ამისტია, მაგრამ ამას დროება და პოლიტიკაც მოითხოვდა.“

იტალია.

შლორენცი, აგვისტოს 14. — **ახლა** კიდევ დაიწყეს ლაპარაკი იმაზე, რომ ვითომ მიქტორ-მმანუილს ჰსურს იტალიის ტახტისაგან ხელის აღება პიემონტის პრინციის სასარგებლოთ, ან თუ არა და იმისი (პრინცი) დანიშნვა საკაროლოს მთავარ მმართველათ. **მაგრამ** ვინც დახლოებით იცნობს კოროლს, ისინი ამბობენ, რომ ის თავის დღეში ტახტს არ დასტოვებსო. **მთი** ნემცოური გაზეთის კორესპონდენტი ამბობს: „**მართალია** მიქტორ-მმანუილს ძალიან უყვარს ნადირობა და მაგდენს საიმავენებას ვერა ჰპოვებს სახელმწიფოს საქმეებში, მაგრამ ტახტის დატოვებას მაინც თავის დღეში არა ფიქრობს. იმან ისიც კარგათ იცის, რომ სახელმწიფო საქმეებისაგან უსამაოვნობის და ნადირობის საიმავენების შეერთება არ არის ძნელი; ამისათვის საჭირონი არიან მხოლოდ შესაფერი მინისტრები, როგორც, მაგალითათ, რატაცი არის. **ზოგიერთი** მიქტორ-მმანუილით დახლოებული პირები ამბობენ, რომ მენაბრეას და ბელტერიოს მართლათ სურთ, რომ ის გარდადგეს ტახტიდან და შეიძლება ეს ხმებიც ამაზედ არის დამყარებული. — **ბოსტის** გეროცი და იმისი მეუღლე ეშაადებიან აღმოსავლეთისაკენ წასასვლელათ რამდენიმე სწავლულების თანხლებით; იმათ სურთ დაესწრონ სუეზის არხის გახსნაზე.

— **როგორც** იტალიის სტატისტიკური კომიტეტისაგან გამოცხადებული ანგარიშით ხჩანს, 1867 წელში იქ მოხდარა 2626 მკვლელობა; ასე რომ 100 ათასს კაცში 11 მკვლელობა. **ზამოანგარიშებულია**, რომ იტალიაში ყველა სახელმწიფოებზე უფრო ხშირათ მოხდება ხოლომე მკვლელობა. ისპანიაში 100 ათ. კაცში 8 მკვლელობა, შეციაში 2, ანგლიაში მართა 1, ბელგიაში 1 მილიონ კაცში მართა 2 მკვლელობა მოხდება წლის განმავლობაში. **შენიშნულია**, რომ სამხრეთის იტალიაში უფრო ხშირი მკვლელობაა, ვიდრე ჩრდილოეთისაში. **შველახე** უფრო საზიზღარი ის არის, რომ იტალიელები გასაოცარი გულგრილობით ჰკლავენ კაცს: სულ უბრალო მიზეზი, თითქმის განზე შეხედვა, საკმაო ძალიან იტალიელისთვის, რომ ამოიღოს ხანჯალი, ან დიდი დანა და მოგვარდეს მოსაკლავათ.

აშტარია.

ვენა, 15 აგვისტოს. — **ამას წინეთ** ვენაში იყო მიტინგი, რომელზედაც დაესწრო 15,000 კაცი. ამ მიტინგზე ჰქონდათ მოლაპარაკება და ჩიევა მოლოზანი — **ზარბარე** შტორიის საქმეზე, რომელიც თითქმის ორმოცი წლის დამწყვედული ნახეს ერთს ძრაკოეის მონასტერში. **მალო** და ხანგრძლივი ბაასის შემდეგ მიტინგზე გარდასწყვიტეს შემდეგი: „**სახალხო** კრებამ მიიღო მხედველობაში, 1) რომ მონასტრების არსებობას შრისტეს სარწმუნოება მაინც და მაინც აუცილებელ საჭიროებათ არ რაცხს, 2) რომ მონასტრები ეწინააღმდეგებიან ახლანდელი სახელმწიფოების დაწესებას და 3) რომ ისინი უსათუოთ მანებელნი არიან; და ამის გამო ის სთხოვს მმართველობას: გაუქმოს სუყველა მონასტრები ასტურის იმპერიაში.“

ვენა, 20 აგვისტოს. — **ქ. მენის** ჩიევაში იყო დღეს მოლაპარაკება მონასტრების საქმეზე და გატყუვტეს იმით, რომ ჩიევა სთხოვს სამინისტროს-დააწესოს საერო მთავრობა, რომელმანც ყური უნდა უგდოს მონასტრებს. **სრულებით** მონასტრების გაუქმებაზე კი ჩიევა არ დათანხმდა.

ტელეგრაფები

(თფილისში მიღებული)
პამბარპული, 22 აგვისტოს. **ამ წელს** შემოდგომაზე სახელმწიფოს ჩიევაში 1865 წ. ბეჭდვის კანონებზე იქნება მოლაპარაკება.

სხვა და სხვა ამბავი.

ერთს ამერიკელს, სახელათ შონდერვალს, გამოუგონია გასაოცარი მაშინა, რომლის შესწავლით, როგორც სწორედ, ვაცს რა სიმორეხედაც უნდა შეუძლია გარდასცეს ვისმე თავის ხმა. ჩვენ ვიცით, რომ ელექტორის შემწეობით, შეგვიძლია გარდასცეთ, სადაც გვინდა, ჩვენი ნაწერი (ტელეგრაფით); ამას გარდა, ახლა იქამდე მიაწიეს, რომ ამავე ელექტორის შემწეობით, შეიძლება გარდასცეს კაცმა სურათი, ხელს ნაწერი, გააჩინოს სინათლე და სხვ. ახლა უფ. შონდერვალს მოუგონია ამნაირათვე ხმების გარდაცემა; ასე რომ კაცს შეუძლია მობილისიდან, მაგალითათ, მეთაისში ელაპარაკოს თავის მეგობარს, როგორც ამბობენ, მაშინა ძალიან უბრალო არისო, ასე რომ იმის გაკეთებას არც ბევრი წველება და არც ხარჯი დასჭირდება. მართალია, ხმა ისე კარგათ ვერ გარდაცემა თუ რამე ამ მაშინით, როგორც კაცი ამოუშვებს იმას, მაგრამ ის იმდენად მალეაო, რომ ყველა იქ მყოფი კარგათ გაიგონებს. ამ მაშინის გამოგონის, ამბობენ, იმედი აქვს მუხიკისა და სიმღერის ხმების გარდასცეს თავის აპარატის შემწეობით; ასე რომ შეიძლება ახლათ ის დრო, ამბობს ერთი რუსის მწერალი, როცა ჩვენ—მგრობაში შეგვეძლება გაიგონოთ კონკრეტული რომელიმე მუხიკანტისა, რომელიც უკრავს ამერიკაში.

1867 წელში იმ პარიზის საყასაობებში, რომლებშიაც ცხენის ხორცს ჰყიდიან, დაიკლა და გაიყიდა საქმელათ 2,154 ცხენი და ჯარი. 1868 წ. ამავე დუქნებში გაიყიდა 2,421 ცხენის ხორცი. შარშან ზამთარში გამართეს ბევრი ამნაირი საყასაობები სხვა და სხვა შრანციის ქალაქებში: რეიმსში, ტრუში, მარსელში, ბორდოში, ტულონში და სხვაგან. — ანგლიაში ცხენის ხორცი ჯერ არ არის შემოღებული საქმელათ, მაგრამ მომავალი ზამთრიდან იქაც უნდა გამართონ საცხენისხორცი საყასაობები.

შვეიცარიაში ქალებს აქვთ მიცემული ნება ექიმობაზე ვგზამენის დაქრისა, და იქ ეხლა ბევრი ექიმი-ქალები მოიძებნებიან; გაზეთებში სწორედ, რომ ეხლა საქალგებო გინაზიები ისე უნდათ გარდაკეთონ, რომ იქიდან პირდაპირ უნივერსიტეტებში შესვლა შეეძლოს, ისე როგორც კაცების გინაზიებიდან. თუ მართებლობა უმალდესა სწავლის მიღების ნებას აძლევს ქალებს, მაშ, ცხადია, იმ ნაირ ღონისძიებასაც შეიძლება, რომ ამ სწავლამ იმათ ტყუილ-უბრალოთ არ ჩაუაროს; ესე იგი, იმედი, რომ იმათაც მიიღებენ შემდეგში იმისთანა აღდგომებზე-სამსახურში, სადაც აქამდე მარტო კაცები იყვნენ.

ჩვენ ვიცით, რომ საზოგადოთ ხეობი მრავალ-წლოვანი მცენარეები არიან, ესე იგი, რომ ისინი რამდენიმე წელიწადს სძლებენ; მაგრამ იმის საჩვენებლათ-თუ რა დიდ ხანს სძლებენ ზოგიერთი ხეობი, მე წარმოგიდგინებ რამდენიმე მაგალითს. ხის ხნიერობა ადვილი შესატყობია: ზოგიერთი ხე რომ გარდაქრათ, წახეთ რომ ღერი დაყოფილია გარეშეშეშე მრგვალი, მოშავო ხაზებით; სწავლულებმა გამოიკვლიეს, რომ ყოველ წელიწადს ხეს თითო მრგვალი ხაზი უკეთდება, ასე რომ რამდენი ამისთანა სიმგრვალე აქვს რომელიმე ხეს, იმდენი წლისაც არის ის. ამ ნაირათ გამოიკვლიეს, რომ ანგლიაში არიან ისეთი მსუხარს ხეობი, რომელთაც რეასს სიმგვალეზე მეტი აქვთ, ესე იგი, რეასს წელიწადზე მეტის არიან. იორკშირში (ანგლიაში) არის ერთი ქანდარი, რომელიც 1770 წელში, ერთი სწავლულის გამოანგარიშებით, იყო 1200 (ათას ორასი) წლისა; მგორვე ქანდა-

რი, რომელიც საყდრის გალაფანში დგას, მეცილინის გამოანგარიშებით 1660 წელში, 2880 (ორი ათას ორმასი ოთხმოცი) წლისა იყო, ასე რომ ახლა ეს ხე (3,000) სამი ათასი წლის მეტია. აფრიკაში მონახეს იმისთანა ფიქვის ხეობი და ერთგვარი ხე, სახელათ ბოაბაბი, რომლებიც რამდენიმე ათასი წლის იყვნენ; ერთი ბოაბაბი, მაგალითათ, ხუთი ათასი (5,000) წლის იყო.

აქედან შეიძლება დაახლოებით გამოიანგარიშოს კაცმა—რამდენ წელიწადზე ნაკლები არ არის, რაც ჩვენი დღე-ამიწა გაჩენილა. პირდაპირ: ის ბოაბაბი, რომელიც ახლა ხუთი ათასი წლის არის, ხომ პირველი თავისი გვარი ხე არ იქმნებოდა; იმას უეტყველია, მაშაც ეყოლებოდა, პაპაც, პაპის მამაც, პაპის პაპაც და კიდევ სხვა ბევრი წინაპარი. მთქვანთ, რომ ის ბოაბაბი, რომელიც ეხლა დგას აფრიკაში, მეთათე მოდგმას ეკუთვნის; ეხლა რომ ჩავავლოთ, რომ თითო მოდგმა ხუთი ათას წელიწადს სძლებდა, ჩვენი ანგარიშით გამოვა, რომ პირველათ გაჩენილი ბოაბაბის შემდეგ გასულა ორმოცდა ათი ათასი (20,000) წელიწადი; ის ხე თუ ქვეყნის დაარსების დროს არის გაჩენილი, მაშინ, უეტყველია, რომ ქვეყნის დაარსების შესდგევა ორმოცდა ათი ათასი წელიწადი გასულა. — ეს გამოანგარიშება, რასაკვირველია, სრულებით ბეჯითი არ არის; შეიძლება რომ იმ ხეებმა ათს მოდგმაზე მეტი გასძლებს და შეიძლება—ნაკლებიც, მაგრამ სხვა ნაირი გამოანგარიშებით სწავლულებმა იქამდე მიაწიეს, რომ ამბობენ დღე-ამიწის დაარსების შემდეგ ორას, ან სამას ათას წელიწადზე ნაკლებს არ გაუტლინო.

რასაკვირველია, ზოგიერთებს ეგონება, რომ ეს რიცხვები წინააღმდეგებიან დაბადების სიტყვებს; მაგრამ თვით განათლებული სამღვდელი პირები სწორედ, რომ ამაში სამღვდელთა წერილის წინააღმდეგი არა არის რაო; ისინი აი როგორ ხსნიან ამ მეცნიერებისა და დაბადების გარეგან უთანხმოებას: სათქმელია, რომ უწინდელ დროში დღესა და წელიწადს სხვა ნაირი ამნიშვნელობა ჰქონდა; შესაძლებელია, რომ რასაც ჩვენ ეხლა წელიწადს, ან საუკუნეს ვეძახით, ისინი საათს, ან დღეს უძახოდნენ; ასე რომ იმათი დღე ჩვენს ასს ან ათასს წელიწადს ედარება; ამას გარდა ძველებს იგავით ლაპარაკი უყვარდათ. შევსებას ვეცნი, რომ მივიღოთ სახეში, მაშინ ჩვენ მიგზვდებით, რატომ არის ნაჩვენები ისე ცოტა ხანი ქვეყნის დაარსების შემდეგ დაბადებაში.

გაზეთებში სწორედ, რომ ერთს ანგლიის ექიმს, სახელათ რიხარდსონს, მოუგონია ერთი იმ ნაირი დანა, რომელიც ისე მსწრაფლათ მოჭრის თურმე კაცს გაუტყებულს ხელს, ფხეს, ან სხვას რასმე, რომ ავათყოფი ვერც კი შეიტყოფს. ეს დანა იყო გამოუფნაში და მიაქცია ექიმების ყურადღება. მითონ დანა მიკრულია ჩარხზე, რომელიც ერთს წამში ოცდა ხუთჯერ შემოტრიალდება ხოლმე; ტრიალის დროს შეუშვებენ იმ სხეულის ნაწილს, რომლის მოჭრა უნდათ და ერთს წამში მოკვეთს იმას, ასე რომ ავათყოფი ვერც იგრძნობს.

ერთმა სახალხო შკოლის მსწავლეებმა აესტრიაში გამოხარდა აბრეშუმის ქითვით შკოლაში, ასე რომ მოწაფეები თავის თვალთ უყურებდენ იმათ ცხოვრებას და ადვილათ შენიშნადენ—რამდენ ნაირათ იცვლება ქია, სანამ პარკათ იქცევა და ძაფი გამოაქვთ. მითონ ემაწილები უელიდენ ქიებს, რასაკვირველია; მასწავლებლის დარიგებისამებრ, აქმედდენ ფურცელს და ძალიანაც ცხალი-სებდათ ამ ნაირი საქმის შოვნა. ზოგიერთს მოწაფეებს მასწავლებელმა მისცა რამდენიმე

ქია შინ გამოასზრდელათ; ისინი ისე გულს-მოდგინეთ უელიდენ, რომ არაგის არ მოკვდამია ქიები და ცოტ-ცოტა აბრეშუმში ყველამ მოიყენა. ახლა იმ მახრაში, სადაც ეს შკოლაა, თითქმის ყოველ გლესს აქვს აბრეშუმის კვერცხები და მოჭყავს აბრეშუმში; წინეთ კი ამ საქმეს სულ არ უგდებდენ ყურადღებას.

ჩემი ანა.

მასხოს ის დრო, ოდეს ტურფას ბრძანობთა მეც დახვაროდი, მასთან ტიტყვის, მასთან უფუნას სამოთხეშიც არ გავცვლიდი.

მამობდი ჩემს გულში ხშირად: შენაცვალე ჩემსა ანას, რა ლამაზი არის პირად, შინ სვერცხს ქალსა იმისთანას.

მაგრამ ახლა ჩემი ანა მომჩნა და არ გამოიტანა. ღმერთმა ყველას ავაშოროსო, ძმანო, ბედი ჩემისთანა!

მღეს მაგვიანდებოდა და მის ანაზეც ვერა ვსცნობდი, ჯაგით გული მივეღვლოდა და ტანჯვასა მარად ვგრძნობდი.

შემდეგ მასხოს მე, ის ხშირად ნახეთა ვახიარებდა; საყვედურის მაგიერათ, ტუჩს ტუჩზედა მომამკრავდა.

მაგრამ ახლა მომჩნა ანა, ვიდეო უღელ ძინსო სრულებით არ გამოიტანა. ღმერთმა ყველას ავაშოროსო, ძმანო, ბედი ჩემისთანა!

სანამ ვიჯივი მასთანა, იყოფო ვხევი სანამ ნახე მიყვავოდა, მაშინ თურმე ჩემი ანა მე თუ შენ ტრუფობის ძალით დამხაროდა.

ახლა რა სცნო, რომ ჰქალბო მამობდა შამობებარა, მსწრაფლათ ჩემგან, საყვარელმანო რიდიო სახე დაიფარა.

მამობდა და არ გამოიტანა, ღმერთმა ყველას ავაშოროსო, ძმანო, ბედი ჩემისთანა.

მე შეტოვბა მომივიდა, ახლა—რაღა გაეწუბა! მაგრამ სხვასაც შოში მართებს, შინც დღე-კაცს დანდობა!

შედი რომე ბევრმა სულმა ლამაზს გული დაამყარა; მაგრამ ჩემგერ სიყვარულმა ბოლოს ყველას დაამწარა.

შეაღლო ღმერთს! მომჩნა ანა, მამობდა და არ გამოიტანა, მითონ, აგემ თუ იმ მტვენი კი ღმერთმა ავაშოროსო, ძმანო, ბედი ჩემისთანა!

1869 წ. 4 აგვისტოს ს. შკალიდის. საპაპრო ცნობაში. 23 აგვისტოს პეტერბურლის ბირჟაზე პირველი შინაგანი სესხის ბილეთები გადორდა — — — 173 მან. და 50 კაპიკათ

მგორვე სესხისა — 172 — — 874. ხუთ სარგებლობანი (5%) სახელმწიფო ბანკის ბილეთები — — — 89 მან. 5% გამოყიდვის მოწმობები — — 85 მან. ნუხის აბრეშუმში ნიურში გაიყიდა — 220 მან. ფ. ღებენდისა — — — 115 — — ნახევარი იმპერიული ღირს — 6 და 50 კაპ. პური—ჩეტევრტი (7 კოდი) — 12 — 50 —

ფოჩტა

მბილისიდან ფოჩტა მიდის: რა შაბათობით პრევენში და ჯულიუსაკენ. — სამაშაბათობით ბაქოს გუბერნიაში და შემახაში—მსუბუქე ფოჩტა. — მთხაბათობით რუსეთში, შუთაისში—შოთამდინ, პრევენში, ალექსანდროპოლში და ნოვოზიხეთში. — ხუთ შაბათობით — რუსეთში. — პარასკეობით — შუთაისში, ქახეთში და პრევენში. — შაბათობით — რუსეთში და შემახაში. — კვირაობით — რუსეთში და შუთაისში.

ტელეგრაფი. ღვეთის გასაგზავნი ფასი მბილისიდან: შუთაისში, ბაქოს, შოლდიაკავს, მრზირს, შოთს, პრევენს, ახალციხეს, ნუხას, შემახას — 1 მან. ასტრახანს, შერში, მოსკოვს და მდესს — 2 მან. — ბორს, სილნალს — 50 კაპ. — მეტერბურლს, შენეფს, სტამბოლს — 3 მან. — პარიფს, ლიონს, მარსელს — 3 მან. და 28 კაპ.

საბილიოგრაფიო ცნობა.

ახლად დაბეჭდილი პეტერბურლში თ. ილ. შავეკაძის მოთხრობა

„ქასია-ალამიანი“

მიღებულია ჩვენში და იყიდება შემდგომ ქალაქებში: მბილისში — მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლებში. შუთაისში — თ. ბერასიმე ძალანდარიშვილთან.

გორში — თ. ძრისტევორე მამაცაშვილთან.

ახალციხეში — სტეფანე ბეთაროვთან.

მსხურგეთში — თ. მიხეილ შიქოძესთან.

ფასი ათი შაჟურნი.

იგაჟდაა

პეტერბურლში და ამ ახლო ხანში გამოვა მოთხრობა ლ. შონქაძისა

„სურამის ციხე“;

აგრეთვე რუსთველის პორტრათი, ფოლადზედ მოჭრილი სამზღვარს გარეთ.

სახალხო სიმღერების

გ ა რ ც ე მ ა .

ვასი თითო ნუმარისა ყველგან 2 კაპიკი ანუ 4 გროში. მსიცილეს სტამბაში, პოლიციის ახლოს. იმდენივე სტამბაში, მნათობის სტამბაში, ქუთაისში, აკვალის ქუჩაზედა.

შ. ალადათოვის წიგნის მაღაზიაში.

მართველ ყმავილ კაცს, რომელსაც შეუტრულებია სწავლა პარიფში, ჰსურს აწავდოს შრანციშული ენა. ადრესი იკითხეთ მელიქიშვილის სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლებში.